ISSN 1512-1801

განდევნილობის ტრავმა და ტრანსტერიტორიული იდენტობის ფორმირება მუსლიმ მესხთა გამოცდილებაში

ფირცხალავა ეკატერინე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, Ph.D

რეზიუმე
სტატიაში ნაკვლევია განდევნილობის ტრავმის როლი მუსლიმ მესხთა ტრანსტერიტორიული იდენტობის ფორმირებაში — თემისა, რომელიც 1944 წელს საქართველოდან იძულებით გადაასახლეს და შემდგომ ათწლეულებში განიცდიდა მოქალაქეობრივი უუფლებობისა და მრავალჯერადი მარგინალიზაციის შედეგებს. კვლევა ეყრდნობა საქართველოსა და ამერიკაში ჩატარებულ ინტერვიუებსა და თემურ ნარატივებზე, რომლებშიც აისახება, ის თუ როგორ გადაეცემა განდევნილობისა და დანაკარგის მეხსიერება თაობებს შორის და როგორ ინარჩუნებს სიმბოლური სამშობლოს იდეა მნიშვნელობას გეოგრაფიული დაშორების მიუხედავად. კვლევამ აჩვენა, რომ მუსლიმ მესხთა იდენტობა დინამიკური და მრავალშრიანია — დაფუძნებული წინაპართა მეხსიერებაზე, რელიგიურ-კულტურულ პრაქტიკებსა და ტრანსნაციონალურ გამოცდილებაზე. იგი ფუნქციონირებს როგორც გამძლეობის წყარო, ასევე თაობათაშორისი დაძაბულობის სივრცე. წარმოდგენილი კონცეფცია —ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა — იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს, როგორ იკვეთება ისტორიული ტრავმა, ადაპტაცია და დიასპორული მიკუთვნებულობა იძულებით გადაადგილებულთა გამოცდილებაში.

საკვანძო სიტყვები: *მუსლიმი მესხები, ტრავმული მეხსიერება, სიმბოლური სამშობლო, დიასპორა, ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა*

შესავალი

დეპორტაციისა და იძულებითი მიგრაციის ხანგრძლივმა ისტორიამ შექმნა ახაალი ისენტობა მუსლიმი მესხებისა, იმ საზოგადოებისა, რომელიც 1944 წელს სტალინის გადაწყვეტილებით გადაასახლეს საქართველოს სამხრეთიდან. ამ გარდამტეხი მოვლენის შემდეგ თემი მრავალჯერადად გადაადგილლდა საბჭოთა და არასაბჭოთა სივრცეში, კერძოდ ცენტრალურ აზიაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, თურქეთსა და მოგვიანებით დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში. ყოველი მიგრაციული ტალღა არამხოლოდ ადამიანთა ფიზიკურ გადაადგილებას ნიშნავდა, არამედ მათ კულტურულ თვითშეგნებაზე, მიკუთვნებულობის განცდასა და კოლექტიურ მეხსიერებაზე გავლენას ახდენდა, რაც აისახებოდა მათი იდენტობის სახელდებაზე.

ნაშრომი მუსლიმ მესხეთების გამოცდილებას ათავსებს უფრო ფართო ინტელექტუალურ დისკურსში, რომელიც მოიცავს ტრავმის, დიასპორისა და ტრანსნაციონალიზმის თეორიებს. ავტორი შემოაქვს ცნება — *„ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა“*, რომელიც აერთიანებს ტრავმის კვლევის (Caruth, 1996; Hirsch,

ISSN 1512-1801

2012), კოლექტიური მეხსიერების (Halbwachs, 1992; Nora, 1989) და ტრანსნაციონალიზმის (Vertovec, 2009; Levitt & Glick Schiller, 2004) თეორიულ პარადიგმებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევითი მიმართულებები ხშირად ცალკე განიხილება, სტატია მათ შორის ინტერდისციპლინურ დიალოგს ქმნის, რათა წარმოაჩინოს, როგორ იკვეთება ისტორიული ტრავმა, გადაადგილება და კულტურული ადაპტაცია დიასპორული იდენტობის კონსტრუქციაში.

კვლევა სვამს ცენტრალურ კითხვას: როგორ აკონსტრუირებენ მუსლიმი მესხები ტრანსტერიტორიულ ტრავმულ იდენტობას, სადაც გადაადგილების გამოცდილება, ტრავმული მეხსიერება, წარმოსახვითი სამშობლოს იდეა და საზღვრებს გარეთ ჩამოყალიბებული სოციალური კავშირები ურთიერთგადაჯაჭვულად ქმნის თაობათაშორის იდენტობის საფუძველს?

ამ პრობლემატიკაზე კონცენტრირება საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს, თუ როგორ გადაიქცა დეპორტაციის გამოცდილება და შემდგომი დიასპორული ცხოვრება უნიკალურ მიკუთვნებულობის ფორმად. კვლევის ანალიზი წარმოაჩენს ტრავმის თაობათაშორის გადაცემის მექანიზმებს, დაკარგული სამშობლოს სიმბოლურ რეკონსტრუქციას და იმ ადაპტაციურ სტრატეგიებს, რომლებმაც მუსლიმ მესხებს შესაძლებლობა მისცა, შეენარჩუნებინათ იდენტობის უწყვეტობა განდევნილობისა და გეოგრაფიული გაფანტულობის პირობებში.

ამგვარად, ნაშრომი ხელს უწყობს ტრავმისა და დიასპორის კვლევის თეორიული ჩარჩოების გამდიდრებას და ემპირიულად ასახავს თემის გამოცდილებას, რომლის იდენტობაც ყალიბდება ისტორიული გატეხილობისა და კულტურული გამძლეობის დიალექტიკაში.

თეორიული საფუძვლები

მუსლიმ მესხთა ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის გაგება მოითხოვს ინტერდისციპლინურ ხედვას, რომელიც აერთიანებს **ტრავმის თეორიას**, **მეხსიერების კვლევებს**, **სიმბოლური გეოგრაფიის კონცეფციას** და **ტრანსნაციონალიზმის თეორიას**. ამ ჩარჩოების ინტეგრირება გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, როგორ ურთიერთქმედებენ გადაადგილების გამოცდილება, ტრავმული მეხსიერება, სიმბოლური სივრცეები და ტრანსნაციონალური ქსელები თაობათაშორისი მიკუთვნებულობის ფორმირებაში.

1. ტრავმული მეხსიერება და პოსტმეხსიერება: მოუშუშებელი წარსული

როგორც აღნიშნავენ Caruth (1996) და LaCapra (2001), ტრავმა არ არის მხოლოდ წარსულის ერთჯერადი მოვლენა — იგი წარმოადგენს განმეორებად მოვლენას, რომელიც თემის კულტურულ და ფსიქოლოგიურ ცხოვრებაში განაგრძობს არსებობას. 1944 წლის დეპორტაცია მუსლიმ მესხთა კოლექტიურ ცნობიერებაში ფუნქციონირებს არა როგორც დახურული ისტორიული ეპიზოდი, არამედ როგორც „ცოცხალი ჭრილობა“, რომელიც თაობებს შორის გადაეცემა ემოციური მეხსიერების სახით.

Hirsch-ის (2012) „პოსტმეხსიერების“ კონცეფცია აჩვენებს, როგორ იღებენ მეორე და მესამე თაობები ამ ტრავმის ემოციურ ტვირთს — ისტორიების, დუმილისა და ფრაგმენტული მოგონებების გზით. შედეგად, დეპორტაცია იდენტობის ფორმირებაში

ISSN 1512-1801

ჩნდება არა მხოლოდ როგორც ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც გადატანილი და სხეულში დარჩენილი დაკარგვის განცდა.

2. კოლექტიური მეხსიერება და სიმბოლური სივრცეები: მიკუთვნებულობა ტერიტორიის მიღმა

Halbwachs-ის (1992) თანახმად, მეხსიერება კონსტრუირდება სოციალური ჩარჩოების ფარგლებში, სადაც ინდივიდუალური გამოცდილება იძენს კოლექტიურ მნიშვნელობას. მუსლიმ მესხთა თემში ეს მეხსიერება შენარჩუნებულია ზეპირი ნარატივების, ოჯახური ტრადიციებისა და კულტურული მეხსიერების ფორმების მეშვეობით, რომლებიც განამტკიცებს ჯგუფურ იდენტობას და აერთიანებს თაობებს საერთო წარსულის გარშემო.

Nora-ს (1989) „მეხსიერების ადგილების“ კონცეფციის თანახმად, სიმბოლური ადგილმდებარეობა — მაგალითად, ახალციხე, წინაპართა სახლები ან თაობიდან თაობაზე გადაცემული ნივთები — იქცევა მიკუთვნებულობის ემოციურ საყრდენად ფიზიკური არყოფნის მიუხედავად. ამგვარი სიმბოლური სივრცეები კოლექტიურ იდენტობას აძლიერებს და დაკარგულ ტერიტორიებს ცოცხალ მითოლოგიურ სივრცეებად გარდაქმნის.

3. ტრანსნაციონალიზმი: იდენტობა საზღვრებს მიღმა

მუსლიმ მესხთა იდენტობა ვერ განიმარტება ერთიანი ეროვნული ჩარჩოთი. როგორც აღნიშნავენ Vertovec (2009) და Levitt & Glick Schiller (2004), დიასპორული თემები ქმნიან ტრანსნაციონალურ სოციალურ ველებს, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტებს.

მესხთა იდენტობა მუდმივად ხელახალ ფორმირებას განიცდის — იგი ერთდროულად ეფუძნება დაკარგული სამშობლოს მეხსიერებას და ადაპტაციას ახალ გარემოებებში: აზერბაიჯანში, რუსეთში, თურქეთში, ევროპასა და აშშ-ში. ეს დუალიზმი — მეხსიერებით გამყარებული უწყვეტობა და მობილობით გამოწვეული ტრანსფორმაცია — წარმოადგენს მათი ტრანსტერიტორიული იდენტობის ძირითად ღერძს.

4. კულტურული წინააღმდეგობა და გამძლეობა: ყოველდღიური გადარჩენის სტრატეგიები

Scott-ის (1990) „დამალული ტრანსკრიპტების“ თეორია და Fishman-ის (1991) ნაშრომი ენობრივი შენარჩუნების შესახებ აჩვენებს, რომ ყოველდღიური პრაქტიკები კულტურული წინააღმდეგობის ფორმას იღებს. მუსლიმ მესხთა შემთხვევაში, თურქული დიალექტის შენარჩუნება, ისლამური ტრადიციების დაცვა და რიტუალების თაობათაშორისი გადაცემა წარმოადგენს არა მხოლოდ კულტურულ პრაქტიკას, არამედ *გადარჩენის მექანიზმს* მარგინალიზაციის პირობებში.

5. ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის თეორიული მოდელი

მოცემული თეორიული მიდგომების ინტეგრირებით, მუსლიმ მესხთა იდენტობა შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც *ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა* — დინამიკური კონსტრუქტი, რომელიც წარმოიშობა მეხსიერების, გადაადგილების და კულტურული ადაპტაციის გადაკვეთის წერტილზე. იგი აყალიბებს თაობათაშორისი

ISSN 1512-1801

მიკუთვნებულობის კომპლექსურ სისტემას, სადაც ტრავმული გამოცდილება, სიმბოლური სივრცეები, ტრანსნაციონალური ქსელები და კულტურული გამძლეობა ურთიერთდამოკიდებულად ფუნქციონირებენ.

ტრავმული მეხსიერება აკავშირებს თაობებს მუდმივი რღვევის განცდით, რომელიც კონსტიტუციურ ელემენტად იქცევა კოლექტიური იდენტობისთვის. ეს მეხსიერება არ არის მხოლოდ ისტორიული ჩანაწერი, არამედ ემოციური და ნარატიული მექანიზმი, რომელიც აყალიბებს თემის საერთო აღქმას წარსულსა და აწმყოს შორის.

სიმბოლური სივრცეები — მათ შორის წარმოსახვითი სამშობლოები, ტოპონიმები და ოჯახური მემორიალები — იდენტობის სტრუქტურას მატებს სიღრმეს, რადგან ისინი ქმნიან „წარმოებული დაბრუნების“ ადგილებს, სადაც ფიზიკური დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ ემოციური კავშირი რჩება აქტიური.

ტრანსნაციონალური კავშირები იძლევა შესაძლებლობას, რომ მესხთა იდენტობა დარჩეს მოქნილი და მულტილოკალური. სხვადასხვა გეოგრაფიულ კონტექსტში — აზერბაიჯანში, რუსეთში, თურქეთში, ევროპასა და აშშ-ში — ეს იდენტობა რეარტიკულირდება, რის შედეგადაც ერთიან ნარატივს იძენს, თუმცა ადგილობრივი თავისებურებებით მდიდრდება.

კულტურული გამძლეობა კი წარმოადგენს ამ პროცესის შემაკავებელ და გამაერთიანებელ მექანიზმს: ენოვანი პრაქტიკები, რელიგიური წესები და ოჯახური ტრადიციები იქცევა ყოველდღიური წინააღმდეგობის ფორმებად, რომლებიც თემს უნარჩუნებს კულტურულ უწყვეტობას დევნილობის პირობებში.

ამ ელემენტების სინთეზი აჩვენებს, რომ მუსლიმ მესხთა იდენტობა არ არის ფიქსირებული გეოგრაფიულ სივრცეზე — იგი კონსტრუირდება მეხსიერების, ჰიბრიდულობისა და მობილობის გზით, რაც მას ხდის ერთდროულად ადაპტირებადსა და გამძლეს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„ჩვენ მუდამ დავატარებთ რაღაცას თითოს წამოღებულს იქიდან — თუნდაც ზუსტად აღარ ვიცოდეთ, სად იყო ჩვენი ადგილი.“

5.1. ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის კომპონენტური სტრუქტურა

ტრანსტერიტორიული იდენტობის ფორმირება განისაზღვრება ურთიერთდამოკიდებული თეორიული კომპონენტების კომპლექსით, რომელთაგან თითოეული ასრულებს სპეციფიკურ ანალიტიკურ ფუნქციას:

- **ჰიბრიდულობა და „მესამე სივრცე“** (*Bhabha, 1994; García Canclini, 1995*) — ხაზს უსვამს ტრადიციულსა და ახალ კულტურულ ელემენტებს შორის მოლაპარაკების პროცესს, რომელიც იდენტობას აძლევს მოქნილობას და თვითგანახლებადობას.
- **ტრავმული მეხსიერება** (*Alexander, 2004; Eyerman, 2001; Hirsch, 1997, 2012*) — ასახავს ისტორიული ტკივილის გარდაქმნას კოლექტიურ ნარატივად, რომელიც ემსახურება როგორც იდენტობის საყრდენს, ისე გადარჩენის მექანიზმს.

ISSN 1512-1801

- **პროკულტურაცია** (*Gamsakhurdia, 2019*) — აღწერს კულტურული თვითშენარჩუნების პროცესს, სადაც შერჩევითად ინარჩუნება ტრადიციები მასპინძელ საზოგადოებებთან ინტეგრაციის პარალელურად.
- **კონტექსტუალური მოქნილობა** (*Brubaker, 2004*) — იდენტობის დინამიკურ ხასიათს უსვამს ხაზს, რომელიც სოციალური და პოლიტიკური გარემოს ცვლილებებთან ერთად ტრანსფორმირდება.
- **სიმბოლური სამშობლო** (*Anderson, 1983; Proshansky et al., 1983*) — ასახავს წარმოსახვითი გეოგრაფიების როლს ემოციური მიკუთვნებულობის შესანარჩუნებლად, მაშინაც კი, როდესაც ფიზიკური დაბრუნება შეუძლებელია.
- **ტრანსნაციონალიზმი** (*Safran, 1991; Vertovec, 1999*) — განმარტავს დიასპორული ქსელების ფუნქციას, რომლებიც აერთიანებენ გლობალურად გაფანტულ თემებს საერთო მეხსიერებისა და იდენტობის სისტემაში.
- **გლობალიზაცია და ტერიტორიულობის კრიზისი** (*Ruggie, 1993*) — მიანიშნებს საზღვრების დესიმბოლიზაციაზე თანამედროვე სამყაროში, რაც ხელს უწყობს მობილური და მოქნილი იდენტობების ფორმირებას.

ამ კომპონენტების ურთიერთმოქმედება აჩვენებს, რომ ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა არ არის მხოლოდ წარსულის გადმონაშთი, არამედ ცოცხალი, თვითწარმომქმნელი სისტემა, რომელიც აერთიანებს ტრავმას, მეხსიერებასა და მოძრაობას ერთიან სოციალურ ქსოვილში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა დაფუძნებულია შედარებით თვისებრივ კვლევით დიზაინზე, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის ფორმირების შესწავლას მუსლიმ მესხებს შორის ორი განსხვავებული სოციალურ-კულტურული კონტექსტის — საქართველოსა და შეერთებული შტატების — ფარგლებში. შედარებითმა ჩარჩომ შესაძლებელი გახადა მრავალგანზომილებიანი ანალიზი იმისა, თუ როგორ მოქმედებს გადაადგილება, ტრავმული მეხსიერება და კულტურული ადაპტაცია როგორც სამშობლოში, ისე დიასპორულ გარემოში (Hantrais, 2009).

კვლევის დიზაინი და მონაცემთა წყაროები. კვლევა აერთიანებს სამაგიდე კველვის (desk-based) ანალიზს და საველე თვისებრივ კვლევას, რაც ეფუძნება მრავალწყაროიან ტრიანგულაციის სტრატეგიას (Denzin, 1978), რაც უზრუნველყოფს როგორც ანალიტიკურ სიღრმეს, ისე შიდა ვალიდობას. მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავდა სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

1. დოკუმენტებისა და ლიტერატურის ანალიზი —აკადემიური კვლევების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და ისტორიული ჩანაწერების, რომელმაც განსაზღვრა კვლევის თეორიული ჩარჩო და კონცეპტუალური მიმართულება.
2. ღრმა, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები — მიზნად ისახავდა ინდივიდუალური ნარატივების, ცხოვრებისეული გამოცდილებებისა და მიკუთვნებულობის აღქმის გამოვლენას.
3. ფოკუს-ჯგუფები — გამოიყენებოდა კოლექტიური მეხსიერების, სიმბოლური წარმოსახვისა და იდენტობის სტრატეგიების შესასწავლად, რაც საშუალებას იძლეოდა საზოგადოების დონეზე მიმდინარე კულტურული ტრანსფორმაციის გააზრება.

ISSN 1512-1801

საველე კვლევა და მონაცემთა შეგროვება. საველე სამუშაოები ჩატარდა ორ ქვეყნაში:

- საქართველო (2018) — ჩატარდა 50 ინტერვიუ სამ მუნიციპალიტეტში: სამტრედიაში, ოზურგეთსა და ახალციხეში, სადაც თავმოყრილია მუსლიმ მესხეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.
- ამერიკის შეერთებული შტატები (2025 წლის თებერვალი–აპრილი) — ჩატარდა 38 ღრმა, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი მუსლიმ მესხების თემებში, რომლებიც ცხოვრობენ პენსილვანიაში (ლანკასტერსა და ფილადელფიაში).

ინტერვიუები ჩატარდა რესპონდენტების საცხოვრებელ სივრცეებში, რაც ხელს უწყობდა ნდობისა და გახსნილობის ატმოსფეროს შექმნას. ინტერვიუების ენა იყო რუსული ან ინგლისური — მონაწილეთა ენობრივი პრეფერენციის შესაბამისად (Gumperz, 1982).

მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი და „თოვლის გუნდის“ (snowball) მეთოდებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თვისებრივ კვლევებში (Patton, 2015).
მონაცემთა ანალიზის პროცედურები. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზისა (Braun & Clarke, 2006) და ნარატიული ანალიზის (Riessman, 2008) კომბინაციით, რამაც შესაძლებელი გახადა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნარატივებში განმეორებადი თემებისა და შიდა ლოგიკის გამოვლენა. ამ მიდგომამ წარმოაჩინა, თუ როგორ კონსტრუირდება ტრავმული მეხსიერება, როგორ მიმდინარეობს ადაპტაცია და როგორ განახლდება იდენტობა დროის განმავლობაში საქართველოსა და ამერიკის კონტექსტებში.

ეთიკური პრინციპები. კვლევა სრულად ეფუძნებოდა თვისებირვი კვლევის ეთიკურ სტანდარტებს. კვლევის პროტოკოლს ჰქონდა ორივე ინსტიტუციის კვლევის ეთიკური კომისიის მიერ გაცემული ნებართა (თსუ და Rutgers)

კვლევის შეზღუდვა: მისი გეოგრაფიული მოცვა შეზღუდული იყო საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონკრეტულ რეგიონებზე, რაც შესაძლოა ზღუდავდეს შედეგების განზოგადებას მუსლიმ მესხთა უფრო ფართო დიასპორულ თემებზე. ინტერვიუებზე დაფუძნებული ნარატივები შესაძლოა შეიცავდეს სუბიექტურობასა და სოციალური სასურველობის მიკერძოებას.

შედეგების ანალიზი

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი საკითხები:

ტრავმა როგორც იდენტობის საძირკველი- 1944 წლის დეპორტაცია იქცა იმ გარდამტეხ ისტორიულ მოვლენად, რომლის მეხსიერებაც თაობებს შორის გადადის მემკვიდრეობით — ოჯახურ ნარატივებში, რელიგიურ რიტუალებსა და მდუმარე სიჩუმის ჟესტებში. ტრავმა ერთდროულად არის ტვირთიც და კავშირიც — კოლექტიური თანაგრძნობისა და კუთვნილების წყარო.

ტრანსტერიტორიული კუთვნილება: სიმბოლური სამშობლო, ემოციური გეოგრაფია- ახალციხე/მესხეთი მყარდება როგორც მეხსიერების სიმბოლური კერის (lieux de mémoire)- სახით: „ფიზიკურად მიუწვდომელი“ სივრცე ინარჩუნებს მორალურ/კულტურულ მნიშვნელობას. მეხსიერების პრაქტიკები (ოჯახური

ISSN 1512-1801

ისტორიები, ნივთიერი სიმბოლოები, რელიგიური რიტუალები) ქმნის „ემოციურ რუკას“, რომელზეც კუთვნილება ტერიტორიულობის გარეშე იცოცხლებს.

სახელდების მერყეობა და აღიარების პოლიტიკა. **გარე კლასიფიკაციები.** („ქართველი“, „თურქი“, „აზერი“, „ახისკელი თურქი“) ნაწილობრივ არღვევს თვითაღქმას, მაგრამ პარადოქსულად აძლიერებს შიდა შეჭიდულობას („სახელები იცვლებოდა, ჩვენ — არა“). სახელდების პოლიტიკა ტრავმულ გამოცდილებას აკრავს პოლიტიკური მარგინალიზაციის გამოცდილებასთან.

ყოველდღიური პრაქტიკა როგორც კულტურული რეზისტენცია. ენის შენარჩუნება, რელიგიური პრაქტიკა და საოჯახო რიტუალები მუსლიმი მესხებისთვის იქცევა კულტურული გამძლეობის ფუნდამენტად — უხილავ, მაგრამ მყარ ბარიერად ასიმილაციისა და იდენტობის წაშლის წინააღმდეგ. ამასთან, ტრადიციისა და ადგილობრივი ელემენტების შერწყმა წარმოშობს „კრეოლიზებულ“ ანუ შერეულ კულტურულ ფორმებს, რომლებიც ჩნდება ტრადიციულსა და ახალ კულტურულ კონტექსტებს შორის — როგორც ადაპტაციისა და გამძლეობის სტრატეგია დიასპორულ გარემოში. ეს ზრდის ადაპტაციის მოქნილობას და უზრუნველყოფს უწყვეტობის შენარჩუნებას ცვლილების პირობებში.

ჰიბრიდულობა და თაობათაშორისი დიფერენციაცია. ახალგაზრდა თაობების თვითიდენტიფიკაცია უფრო მრავალშრიანი და კონტექსტზე მორგებულია — ისინი საკუთარ თავს ერთდროულად აღიქვამენ როგორც თურქებს, მუსლიმებს, ქართველებსა და ამერიკელებს. უფროსი თაობა ტრავმულ მეხსიერებას ინახავს როგორც იდენტობის ბირთვს, შუა თაობა კი ამ გამოცდილებას თხრობითი ფორმით „ამუშავებს“ და ახდენს მის გადაკონტექსტუალებას. ახალგაზრდები ამ ისტორიულ ტკივილს აღიქვამენ როგორც მემკვიდრეობით, თუმცა ემოციურად დისტანცირებულ გამოცდილებას და ამავე დროს აყალიბებენ ახალ, სამოქალაქო კუთვნილებას დიასპორულ სივრცეში

საქართველოსა და აშშ-ის გამოცდილების კონტრასტები: სტრუქტურული ბარიერებიდან შესაძლებლობების სივრცემდე

საქართველო: ოჯახური მოწყობის უფრო პატრიარქალური ლოგიკა, რელიგიური ხილვადობის სტიგმა და სუსტი ინსტიტუციური მხარდაჭერა ზღუდავს ჰორიზონტალურ კავშირებსა და სოციალური მობილობის კონვერტაციას.

აშშ: ინსტიტუციური პლურალიზმი (ენობრივი/საგანმანათლებლო პროგრამები, შრომითი ბაზრის წვდომა) ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ აქტივაციას, გადაწყვეტილებების თანაზიარებას და განათლების კაპიტალიზაციას, თუმცა სამეზობლო ურთიერთობები ხშირად ზედაპირულია, რის ფონზეც შიდა ეთნიკური ქსელები რჩება ემოციური მხარდაჭერის მთავარ ეკოსისტემად.

ISSN 1512-1801

რელიგია, განათლება და სოციალური ქსელები როგორც ადაპტაციის მექანიზმები

რელიგია, განათლება და შიდა სოციალური ქსელები მოქმედებს როგორც კულტურული გამძლეობის ცენტრალური საყრდენები, თუმცა მათი ფუნქციონირების ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

საქართველოში რელიგიური პრაქტიკა ძირითადად კერძო და თემურ სივრცეებშია კონცენტრირებული — საზოგადოებრივი სტიგმა ზღუდავს მის საჯარო გამოხატვას; განათლება ვერ გარდაიქმნება სოციალურ კაპიტალად ენობრივი და ეკონომიკური ბარიერების გამო; სოციალური ურთიერთობები კი ინარჩუნებს ნათესაურ-კონფესიურ დახურულობას, რაც ხელს უწყობს თემური იდენტობის შენარჩუნებას, მაგრამ ზღუდავს ინტერკულტურულ ინტეგრაციას.

აშშ-ში, პირიქით, რელიგია იქცევა საჯარო თვითგამოხატვისა და თემური სოლიდარობის არხად; განათლება — ეკონომიკური ავტონომიისა და ქალთა აგენციურობის ინსტრუმენტად; ხოლო სოციალური კავშირები — უფრო გახსნილ, ინტერკულტურულ ქსელებად, რომლებიც ხელს უწყობს დიასპორულ ადაპტაციას და ახალი სოციალური კაპიტალის დაგროვებას.

მიუხედავად განსხვავებული ფორმებისა, სამივე სფერო ემსახურება საერთო მიზანს — ტრავმის გამოცდილების გადაქცევას გამძლეობისა და თვითშენარჩუნების სტრატეგიებად. ისინი გარდაქმნიან ტრავმის გამოცდილებას გამძლეობისა და თვითშენარჩუნების სტრატეგიებად. რელიგია უზრუნველყოფს მორალურ სტაბილურობასა და კოლექტიურ მეხსიერების უწყვეტობას; განათლება ქმნის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს სოციალური და ეკონომიკური ჩართულობისთვის; ხოლო თემური ქსელები უზრუნველყოფს ემოციურ უსაფრთხოებასა და სოლიდარობის სივრცეს სტრუქტურული გაუცხოების პირობებში.

ამ სამ დისკურსს შორის ურთიერთქმედება აყალიბებს ტრანსტერიტორიულ იდენტობას — ისეთ იდენტობას, რომელიც ფესვგადგმულია წარსულის კოლექტიურ მეხსიერებაში, მაგრამ ამავდროულად მიმართულია მომავალისკენ, ინტეგრაციისა და სიმბოლური აღიარების გზით.

ამგვარად, განდევნილობის ტრავმა მუსლიმ მესხთა გამოცდილებაში აღარ ფუნქციონირებს მხოლოდ დაკარგვის ნარატივად; ის გარდაიქმნება კულტურულ რესურსად, რომელიც საშუალებას აძლევს თემს ჩამოაყალიბოს მოქნილი, ჰიბრიდული და სიცოცხლისუნარიანი იდენტობა — *ჰიბრიდული იდენტობა, რომელიც აერთიანებს თაობებსა და გეოგრაფიულ სივრცეებს ერთ უწყვეტ ნარატივში.*

ემპირიული მასალა აჩვენებს, რომ მუსლიმ მესხთა იდენტობა ტერიტორიაზე არ იყინება; იგი მუდმივად რეკონსტრუირდება ტრავმის, მეხსიერებისა და მობილობის გადაკვეთაზე.

- ტრავმა — საფუძველს უქმნის იდენტობას;

ISSN 1512-1801

- სიმბოლური ადგილები — იცავენ კუთვნილებას ფიზიკური დაბრუნების გარეშე;
- სახელდების პოლიტიკა — ამხელს მარგინალიზაციას, მაგრამ აძლიერებს შიდა ერთობას;
- ყოველდღიური პრაქტიკა — არის გამძლეობის არქიტექტურა;
- ჰიბრიდულობა — შესაძლებელს ხდის კოდების თარგმნას ტრანსნაციონალურ სივრცეებში.

ამგვარად, „დეპორტაცია“ დიასპორაში გარდაიქმნა *ტრანსტერიტორიულ ტრავმულ იდენტობად* — იდენტობად, რომელიც თანაბრად იკვებება დანაკარგის მეხსიერებითა და გამძლეობის სტრატეგიებით.

დისკუსია

ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის დინამიკა, იდენტობა როგორც გაცხადებული და სიმბოლური პროცესი

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მუსლიმ მესხთა იდენტობა დინამიკურია — განუწყვეტელი მოლაპარაკება მეხსიერებასა და ადაპტაციას შორის. ეს იდენტობა არ იკვრება ერთ ეროვნულ სივრცესა თუ კულტურაში, არამედ ფუნქციონირებს როგორც ტრანსტერიტორიული კონსტრუქცია, რომელიც წარმოიშობა გადაადგილების, ისტორიული უსამართლობისა და სოციალური ურთიერთქმედების გადაკვეთაზე.

საქართველოში იდენტობის ფორმირება უმეტესად მიმდინარეობს „დაცვის რეჟიმში“ — კერძო სივრცეში ინარჩუნებს სიღრმეს, მაგრამ საჯარო არენაზე განიცდის დათრგუნვას. ეს კულტურული სიფრთხილე ასახავს ტრავმის პოსტმეხსიერებით გადაცემას და მორალურ დაშორებას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ამ კონტექსტში იდენტობა იქცევა *სიჩუმის პოლიტიკად* — ისტორიული ტკივილის შინაგანად შენარჩუნების, მაგრამ გარედან დამალვის სტრატეგიად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ტრავმული მეხსიერება გარდაიქმნება რესურსად — თაობათაშორის სოლიდარობასა და ნარატიულ განკურნებად. განათლება, რელიგიური თავისუფლება და დიასპორული ორგანიზაციები აქ ქმნიან კულტურული აღდგენის პირობებს. ტრავმა ამ კონტექსტში აღარ არის მხოლოდ წარსულის ტვირთი, არამედ ხდება ღირსების აღდგენისა და ადაპტაციის ენად (Alexander, 2004; Assmann, 2011).

განათლება ორივე შემთხვევაში წარმოადგენს იდენტობის გარდაქმნის საკვანძო ღერძს, თუმცა სხვადასხვა ფორმით. საქართველოში ის უფრო მეტად რჩება შეზღუდულ რესურსად, რომელიც ვერ გარდაიქმნება სოციალურ კაპიტალად, მაშინ როცა აშშ-ში განათლება იძენს ემანსიპატორულ მნიშვნელობას — განსაკუთრებით ქალთა თაობებისთვის. ამგვარად, განათლება იშლება როგორც *კულტურული ბრძოლის ველი,* სადაც ტრადიციული მოლოდინები და ახალი სოციალური შესაძლებლობები ერთმანეთს ეჯახება და თანაარსებობს.

ტრავმული იდენტობის მრავალშრიანი ბუნება. მუსლიმ მესხთა შემთხვევა თანხვედრაშია სხვა იძულებით გადაადგილებულ თემებთან (რომა, ბოსნიელები, პალესტინელები), რომლებიც სიმბოლური პრაქტიკების მეშვეობით ინარჩუნებენ

ISSN 1512-1801

იდენტობის უწყვეტობას. თუმცა მესხთა გამოცდილება გამოირჩევა რამდენიმე უნიკალური მახასიათებლით:

- *ეთნოლინგვისტური წყვეტა* — ქართული ენის დაკარგვამ და თურქულის ათვისებამ გამოიწვია კულტურული უწყვეტობის იშვიათად შესადარი რღვევა;
- *ორმაგი გარიყულობა* — საბჭოთა ხელისუფლებისა და პოსტსაბჭოთა საქართველოს მხრიდან უარყოფამ გააძლიერა მარგინალიზაციის განცდა;
- *ქსელური დისპერსია* — ცენტრალურ აზიასა და დასავლეთში გაფანტვამ შექმნა ერთდროულად ფრაგმენტაციაც და ახალი ტრანსნაციონალური კავშირებიც.

ეს დინამიკა აჩვენებს, რომ ტრავმა მოქმედებს როგორც მტკივნეული მემკვიდრეობა და ერთდროულად — ნარატიული მამოძრავებელი ძალა, რომელიც წარმოქმნის კულტურულ ინოვაციას განდევნილობის პირობებში.

თეორიული ინტეგრაცია და კონცეპტუალური წვლილი. კვლევა აერთიანებს ტრავმის თეორიას (Caruth, 1996), პოსტმეხსიერების კონცეფციას (Hirsch, 2012) სიმბოლური გეოგრაფიის (Nora, 1989) და ტრანსნაციონალიზმის (Vertovec, 1999; Levitt & Glick Schiller, 2004) მიდგომებს და ამ გზით ავითარებს „ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის“ თეორიულ ჩარჩოს. ეს ჩარჩო სცდება ტრადიციულ დიქოტომიებს — „სახლი/საგარეო“ ან „მომცველობა/წყვეტა“ — და იდენტობას განიხილავს როგორც დინამიკურ პროცესს, სადაც მეხსიერება არ არის გაყინული არტეფაქტი, არამედ ცვალებადი, ინტერპრეტირებადი გამოცდილება.

ანალიზი აჩვენებს, რომ მუსლიმ მესხთა იდენტობა არ იკვრება ორ კონკრეტულ სივრცეს შორის — ის იშლება რეალური, სიმბოლური და წარმოსახვითი გეოგრაფიების გადაკვეთაზე. ახალციხე ამ კონტექსტში აღარ არის მხოლოდ გეოგრაფიული კოორდინატი; ის იქცევა მორალურად შინაგან, სიმბოლურ სივრცედ — დანაკარგის, ხსოვნისა და წარმოსახვითი დაბრუნების ადგილად (lieu de mémoire).

ამრიგად, ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა შეიძლება განისაზღვროს როგორც კულტურული ფორმაცია, დაფუძნებული:

- დაკარგულ სივრცეზე ემოციურ ერთგულებაზე;
- მემკვიდრეობით ტრავმასთან შინაგან დიალოგზე;
- და ადაპტაციის სტრატეგიულ მოქნილობაზე ახალ სოციალურ გარემოებში.

ეს ჩარჩო ხსნის გზას იდენტობის გააზრებისაკენ როგორც უწყვეტი კალიბრაციის პროცესისაკენ — მეხსიერებასა და პრაქტიკულ ადაპტაციას შორის დინამიკური მოლაპარაკების ფორმით.

ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის“ მოდელი მნიშვნელოვნად სცდება მხოლოდ მუსლიმ მესხთა შემთხვევის ანალიზს და შეიძლება უნივერსალურად იქცეს იძულებით გადაადგილებული თემების შესწავლის ჩარჩოდ. ის გამოიყენება ისეთი ჯგუფების გამოცდილების ასახსნელად, როგორიცაა ჩერქეზები, ყირიმელი თათრები, უიღურები და როჰინგიები — თემები, რომელთა იდენტობა მსგავსად ყალიბდება

ISSN 1512-1801

ისტორიული ტრავმის, გეოგრაფიული დისპერსიისა და წარმოსახვითი დაბრუნების სიმბოლურ რუკებზე გადაკვეთით.

ამ მოდელმა შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობაც შეიძინოს მიგრაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკისათვის:

- კულტურული მეხსიერების მხარდაჭერა ხელს უწყობს ფსიქოსოციალურ გამძლეობას;
- განათლებისა და ენების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ტრავმის თაობათაშორის გადაცემას;
- დიასპორული ქსელების გააქტიურება კი აძლიერებს კოლექტიურ კოესიასა და კულტურულ ინკლუზიას.

მუსლიმ მესხთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ იძულებითი გადაადგილება და კოლექტიური მეხსიერება არამარტო არღვევს იდენტობას — ისინი ქმნის ნიადაგს მისი ხელახალი კონსტრუქციისთვის. ტრავმა აქ არ არის მხოლოდ ტვირთი, არამედ შემაკავშირებელი ძალა; დიასპორა კი არა მხოლოდ დაშლა, არამედ კულტურული უწყვეტობის ახალი ფორმა.

ტრავმისა და ტრანსნაციონალიზმის ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში მოთავსებით, კვლევა ავითარებს ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის თეორიას, რომელიც ახალ ხედვას სთავაზობს გადაადგილების, მეხსიერებისა და კუთვნილების ემოციურ გეოგრაფიებზე.

დასკვნა

მუსლიმ მესხთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იდენტობა დინამიკურია — განუწყვეტელი მოლაპარაკება მეხსიერებასა და ადაპტაციას შორის. მათი კოლექტიური თვითშეგნება ფორმირდება არა როგორც სტატიკური მემკვიდრეობა, არამედ როგორც ცოცხალი, ტრავმითა და გადაადგილებით განპირობებული კონსტრუქცია, რომელიც თაობებს შორის განიცდის გარდაქმნასა და გადამუშავებას.

1944 წლის დეპორტაციამ იქცა კოლექტიურ ტრავმად, რომელმაც განსაზღვრა თაობათა მეხსიერება და გადააქცია ადგილი სიმბოლურ კატეგორიად. ახალციხე ამ კონტექსტში აღარ არის მხოლოდ გეოგრაფიული წერტილი — ის იქცევა მორალურად შინაგან სივრცედ, სადაც დანაკარგი, ხსოვნა და წარმოსახვითი დაბრუნება იკვეთება ერთიან ნარატივში. მიგრაციის მრავალეტაპიანმა გზამ — ცენტრალური აზიიდან დასავლეთ ევროპასა და ამერიკამდე — წარმოშვა მრავალლოკალური მიკუთვნებულობა, სადაც მოგონება და ადაპტაცია თანაარსებობს, ხოლო იდენტობა მუდმივად განისაზღვრება გადაადგილებასა და ემოციურ ერთგულებას შორის ბალანსში.

შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების შემთხვევებზე აჩვენებს, რომ სოციალურ-კულტურული კონტექსტი განსაზღვრავს ტრავმის გადამუშავებისა და თვითიდენტიფიკაციის ფორმებს. საქართველოში იდენტობა ხშირად ფუნქციონირებს თავდაცვით რეჟიმში — შინაგანად შენარჩუნებული, მაგრამ საჯაროდ შეზღუდული. ამერიკულ კონტექსტში კი ის გარდაიქმნება გახსნილ

ISSN 1512-1801

პრაქტიკად, სადაც განათლება, რელიგია და დიასპორული ქსელები ქმნიან კულტურული აღდგენისა და სოლიდარობის არხებს.

ამ დინამიკების შედეგად, მუსლიმ მესხთა იდენტობა შეიძლება აღვწეროთ როგორც *ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა* — კულტურული ფორმაცია, რომელიც აერთიანებს ემოციურ ერთგულებას დაკარგული სივრცისადმი, ტრავმის მემკვიდრეობით გადაცემას და ადაპტაციურ სტრატეგიებს ახალ სოციალურ გარემოებებში. ეს იდენტობა არ არის დასრულებული ან ერთგანზომილებიანი; ის ღიაა ცვლილების, თაობათაშორისი დიალოგისა და სიმბოლური გადაადგილებისადმი.

ტრავმა ამ კონტექსტში აღარ არის მხოლოდ ტკივილისა და მსხვერპლობის ნიშანი — ის გარდაიქმნება შემოქმედებით ძალად, რომელიც აძლიერებს კულტურულ გამძლეობას და აღადგენს ღირსებას განდევნილობის პირობებში.

ამრიგად, მესხთა ისტორია არ არის მხოლოდ წარსულის ტკივილის ქრონიკა. იგი წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ გარდაიქმნება *განდევნილობის ტრავმა კულტურულ რესურსად, ხოლო მეხსიერება — გადარჩენის ენად.* მუსლიმ მესხთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ტრავმა და გადაადგილება, მიუხედავად მათი დამანგრეველი ბუნებისა, შეიძლება გახდეს იდენტობის ხელახალი ფორმირების საფუძველი — უწყვეტი პროცესის, რომელიც აერთიანებს დანაკარგს და გამძლეობას, წარსულსა და მომავალს ერთ საერთო ტრანსტერიტორიულ ნარატივში.

REFERENCES

[1]. Caruth, C. (1996). *Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History.* Johns Hopkins University Press.
[2]. Hirsch, M. (2012). *The Generation of Postmemory: Writing and Visual Culture after the Holocaust.* Columbia University Press.
[3]. Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory* (L. A. Coser, Trans.). University of Chicago Press. (Original work published 1950)
[4]. Nora, P. (1989). Between memory and history: Les lieux de mémoire. *Representations, 26,* 7–24.
[5]. Vertovec, S. (2009). *Transnationalism.* Routledge.
[6]. Levitt, P., & Glick Schiller, N. (2004). Conceptualizing simultaneity: A transnational social field perspective on society. *International Migration Review, 38*(3), 1002–1039.
[7]. Caruth, C. (1996). *Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History.* Johns Hopkins University Press.
[8]. LaCapra, D. (2001). *Writing History, Writing Trauma.* Johns Hopkins University Press.
[9]. Hirsch, M. (2012). *The Generation of Postmemory.* Columbia University Press.
[10]. Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory.* University of Chicago Press.
[11]. Nora, P. (1989). *Between memory and history.* Representations, 26, 7–24.
[12]. Vertovec, S. (2009). *Transnationalism.* Routledge.
[13]. Levitt, P., & Glick Schiller, N. (2004). *Conceptualizing simultaneity.* IMR, 38(3), 1002–1039.
[14]. Scott, J. C. (1990). *Domination and the Arts of Resistance: Hidden Transcripts.* Yale University Press.
[15]. Fishman, J. A. (1991). *Reversing Language Shift.* Multilingual Matters.
[16]. Bhabha, H. K. (1994). *The Location of Culture.* Routledge.

ISSN 1512-1801

[17]. García Canclini, N. (1995). *Hybrid Cultures: Strategies for Entering and Leaving Modernity.* University of Minnesota Press.
[18]. Alexander, J. C. (2004). Toward a theory of cultural trauma. In J. C. Alexander et al. (Eds.), *Cultural Trauma and Collective Identity* (pp. 1–30). University of California Press.
[19]. Eyerman, R. (2001). *Cultural Trauma: Slavery and the Formation of African American Identity.* Cambridge University Press.
[20]. Hirsch, M. (1997). *Family Frames: Photography, Narrative, and Postmemory.* Harvard University Press.
[21]. Gamsakhurdia, V. (2019). Pro-culturation: From acculturation to cultural adaptation. *Culture & Psychology, 25*(2), 277–296.
[22]. Brubaker, R. (2004). *Ethnicity without Groups.* Harvard University Press.
[23]. Anderson, B. (1983). *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism.* Verso.
[24]. Proshansky, H. M., Fabian, A. K., & Kaminoff, R. (1983). Place-identity: Physical world socialization of the self. *Journal of Environmental Psychology, 3*(1), 57–83.
[25]. Safran, W. (1991). Diasporas in modern societies: Myths of homeland and return. *Diaspora, 1*(1), 83–99.
[26]. Vertovec, S. (1999). Conceiving and researching transnationalism. *Ethnic and Racial Studies, 22*(2), 447–462.
[27]. Ruggie, J. G. (1993). Territoriality and beyond: Problematizing modernity in international relations. *International Organization, 47*(1), 139–174.
[28]. Hantrais, L. (2009). *International comparative research: Theory, methods and practice*. Palgrave Macmillan.
[29]. Denzin, N. K. (1978). Triangulation: A case for methodological evaluation and combination. *Sociological Methods, 8*, 339–357.
[30]. Gumperz, J. J. (1982). *Discourse Strategies.* Cambridge University Press.
[31]. Patton, M. Q. (2015). *Qualitative Research & Evaluation Methods* (4th ed.). SAGE.
[32]. Braun, V., & Clarke, V. (2006). Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology, 3*(2), 77–101. https://doi.org/10.1191/1478088706qp063oa
[33]. Riessman, C. K. (2008). *Narrative methods for the human sciences.* Sage Publications.
[34]. Alexander, J. C. (2004). Toward a theory of cultural trauma. In J. C. Alexander et al. (Eds.), *Cultural Trauma and Collective Identity* (pp. 1–30). University of California Press.
[35]. Assmann, A. (2011). *Cultural Memory and Western Civilization.* Cambridge University Press.
[36]. Caruth, C. (1996). *Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History.* Johns Hopkins University Press.
[37]. Hirsch, M. (2012). *Generation of Postmemory.* Columbia.
[38]. Nora, P. (1989). *Between memory and history.* Representations, 26, 7–24.
[39]. Vertovec, S. (1999). *Conceiving and researching transnationalism.* Ethnic and Racial Studies, 22(2), 447–462.
[40]. Levitt, P., & Glick Schiller, N. (2004). Conceptualizing simultaneity: A transnational social field perspective on society. *International Migration Review, 38*(3), 1002–1039.

Article received 2025-10-13